

მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N4

ქ.წალენჯიხა

25 თებერვალი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ზორის კვარაცხელია, ნესტან გოგოხია, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია, კახაბერ ციმინტია

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ-ების, საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 13:00სთ.

სხდომა დასრულდა: 14:20 სთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომის გახსნამდე გააკეთა განცხადება 1921 წლის 25 თებერვლის დღის მნიშველობასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებმა დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1921 წლის 25 თებერვალს გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა და წარმოდგენილი სახით დამტკიცებულიქნა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მეზონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

თანამომხსენებელი: დალი კვარაცხელია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მეზონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
თანამომხსენებელი: ანზორ ფიფია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მეზონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

თანამომხსენებელი: დალი კვარაცხელია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ბეჟან შანავა

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

თანამომხსენებელი: დალი კვარაცხელია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგებლობის ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გოგა გულორდავა – მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ლაშა არქანია – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გოგა გულორდავა – მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ლაშა არქანია – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის დაყოფაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ანზორ ფიფია – მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ანზორ ფიფია – მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

9. სხვადასხვა

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ხვიჩა მეზონიამ.

საკრებულოს წევრმა კ. ციმინტიამ მოითხოვა განმარტება იზრდება თუ არა გადასახადები წინა წლებში გაყიდულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. რაზეც განემარტა რომ გადასახადის გაზრდა შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 – ნონა კვარაცხელია, კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 7) .

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ხვიჩა მეზონიამ.

საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე -23, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N8).

მოისმინეს: 3 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ხვიჩა მეზონიამ.

საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N9).

მოისმინეს: 4 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა ბექან შანავამ.

საკრებულოს წევრმა კ. ციმინტიამ მომხსენებელს მიმართა შეკითხვით: წალენჯიხის ადგილობრივი თვითმმართველობა აპირებს თუ არა ქაშვების შემოჭერას და თუ კი, ეს რაში აისახება და რამდენად მიზანშეწონილია ამ ფონზე შტატების გაზრდა.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N10).

მოისმინეს: 5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგებების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ. საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N11).

მოისმინეს: 6 . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ. საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილებების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N12).

მოისმინეს: 7 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის დაყოფაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ანზორ ფიფიამ.

საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (8).

მოისმინეს: 8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ანზორ ფიფიამ.

საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (9).

მოისმინეს: 9 სხვადასხვა.

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ასმათ კვარაცხელიამ ისაუბრა იმ სოციალურ პროგრამებზე რომელიც დამტკიცებულ იქნა საკრებულოს მიერ და მიზანშეწონილად ჩათვალა კიდევ დამატებოდა ერთი პროგრამა რომელიც ეხებოდა სიმსივნით, კერძოდ ლეიკემით დაავადებულებს. (მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 7 ლეიკემით დაავადებული ბენეფიციარი). ვინაიდან ლეიკემიით მკურნალობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელი გახდება მგზავრობის თანხის ანაზღაურება (ყოველთვიურად 100 ლარი ერთ ბენეფიციარზე) კ. ციმინტიამ აღნიშნა რომ ეს თანხა ძალიან მიზერულია და თუ ეს პროგრამა იქნა საკრებულოს მიერ მიღებული თანხაც მიზანშეწონილია გაიზარდოს 300 ლარამდე. საკრებულოს თავმჯდომარემ თ. ღვინჯილიამ აღნიშნა რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს უფრო ღრმა შესწავლას, ბენეფიციართა სიის დაზუსტებას და მიმართა კომისიებს და გამგეობის შესაბამის სამსახურს დაინტერესებულიყვნენ აღნიშნული პროგრამით.

2. საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ თავის განცხადებაში გამოთქვა უკმაყოფილება გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის მიმართ გაგზავნილ წერილებზე არადროული რეაგირების გამო.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა

საკრებულოს თავმჯდომარე:



თემურ ღვინჯილია



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjika, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;

E-mail. admin@tsalenjika-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www.tsalenjika-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 თებერვალი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N8

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის საკრებულოს
სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

- I.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 25 თებერვლის საკრებულოს სხდომის
დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:
 - 1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის საკრებულოს სხდომის
დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე-თემურ გვინჯილია
 - 2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის
შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ზვირა მებონია
გამგებობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
თანამომხსენებელი:დალი კვარაცხელია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე
 - 3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ზვირა მებონია
გამგებობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
თანამომხსენებელი:ანზორ ფიფია – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე
 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა
და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის
საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ზვირა მებონია
გამგებობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
თანამომხსენებელი:დალი კვარაცხელია საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე
 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების
დამტკიცების შესახებ
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ბექან შანავა
გამგებობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
თანამომხსენებელი:დალი კვარაცხელია საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;

6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და სამტატო წუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გოგა გულორდავა – მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ლაშა არქანია – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გოგა გულორდავა – მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ლაშა არქანია – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის დაყოფაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ანზორ ფიფია – მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

9. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ანზორ ფიფია – მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

10. სხვადასხვა

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გ. ჯორჯიშვილი ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:



თემურ ღვინჯილია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXIX თავის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შემოღებულ იქნეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 თებერვლის №6 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



თ. დვინჯილია

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3' ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი. (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით). ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არ გაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი;
- ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.8 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

№	მიწის კატეგორიები	გადასახადის განაკვეთები ლარი/ჰა
1	სათიბები (ბუნებრივი და გაკულტურებული)	19.00
2	სამოვრები (ბუნებრივი და გაკულტურებული)	15.00
3	სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)	67.00
4	საკარმიდამო	67.00

5	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის	
	ა) სათიბები	19.00
	ბ) სამოვრები	15.00
	გ) სახნავი	67.00
6	ბუნებრივი რესურსები (მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწები)	3.00

მუხლი 5.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

№	ტერიტორია	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი	გადასახადის განაკვეთი
1	ქ. წალენჯიხა; ქ. ჯვარი; ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული.	0,75	0,24	0,18
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულები (გარდა ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის სქურის უბნისა)	0,65	0,24	0,156
3	ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის სქურის უბანი	0,70	0,24	0,168

მუხლი 6.

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „32“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე შესაბამისი დასაბეგრი ობიექტების მიხედვით ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს:

- ა) საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;
- ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადის გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

მუხლი 7.

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით და ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 თებერვლის N8 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



თ. ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მეტრი მიწის ნორმატიული ფასი / შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“/ დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$Cn = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K \quad \text{სადა:}$$

ა) Cn – არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} – არის წალენჯიხის მაკრო მდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,37–ს;

გ) I_{TL} – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1–ს /რადგან წალენჯიხაში ზონირება არ ხორციელდება/;

დ) C – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 100–ს.

მუხლი 2.

პირველი მუხლის მიხედვით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მეტრის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ა) ქ. წალენჯიხის და ქ. ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

I_{MG}	I_{TL}	C	K	Cn /ლარი/
0.37	1	0.24	100	8.88

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (გარდა ქ. წალენჯიხისა და ქ. ჯვარის ადმინისტრაციული ერთეულებისა) – ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 50% ოდენობით / 4.44 ლარი/;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში (გარდა ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარისა) გამავალი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ. რადიუსში (ორივე მხარეს) მდებარე არეალში – ამ დადგენილების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 55% ოდენობით / 4.80 ლარი/;

დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში — ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 25% ოდენობით / 2.22 ლარი/;

ე) სოფ. ჯგალის სკურის უბანში — ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 80%-ის ოდენობით / 7.10 ლარი/.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (გარდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) და მოძრავი ნივთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

მუხლი 3.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

მუხლი 4.

წილების/აქციების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

მუხლი 5.

წილების/აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას მართვის უფლებით გადაცემის საწყისი საფასური, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მიერ ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



თ. ღვინჯილია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 ივლისის №26 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურითავე საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის დებულებებით, ამ დებულებით, სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. იცავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღიარებულ ძირითად პრინციპებს. საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კანონიერების, გამჭვირვალობის, საჯაროობის და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით.

2. ეს დებულება განსაზღვრავს შიდა აუდიტის სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

3. შიდა აუდიტის სამსახური წარმოადგენს გამგეობის შიდა აუდიტის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით.

4. შიდა აუდიტის სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე და „სახელმწიფოში და ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად, ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მას თანურთიერთობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის და შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და აწვდის მას აღნიშნული აუდიტორული შემოწმების ანგარიშს მისი მომზადებიდან ერთი თვის ვადაში.

5. შიდა აუდიტის სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია სამსახურის სახელწოდება, აგრეთვე, ამ სტატუსის მეორე სამსახურისათვის ნებადართული სხვა რეკვიზიტები.

6. შიდა აუდიტის სამსახურის ადგილსამყოფელია: საქართველო, 5200, ქალაქი წალენჯიხა, კ. სალიას ქუჩა N 5.

თავი II

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები, ფუნქციები და

ძირითადი მიმართულებები

მუხლი 2. გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები

1. შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელ, ობიექტურ და საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკისმართვას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ.

2. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია:

ა) უზრუნველყოს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი, დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება, დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება, სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს;

ბ) უზრუნველყოს ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება, საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება, აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან. ასევე, საქმიანობა, რომლებიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

მუხლი 3. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეებია:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი;

გ) შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;

დ) სამსახურის უმცროსი საჯარო თანამდებობის პირები.

2. სამსახურის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით, რომელიც მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის განყოფილებები

მუხლი 4. გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის განყოფილებები და მათი ფუნქციები

1. გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურში იქნება შემდეგი განყოფილებები:
 - ა) შიდა აუდიტის განყოფილება;
 - ბ) შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილება.
2. გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციებია:
 - ა) მუნიციპალიტეტის მმართველობითი სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა; დაწესებულების წინაშე არსებული პოტენციური რისკების განსაზღვრა და მათ სამართავად დანერგილი კონტროლის სისტემის ხარისხის შეფასება;
 - ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
 - გ) დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;
 - დ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;
 - ე) დაწესებულების ფინანსური საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.
3. გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების ფუნქციებია:
 - ა) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;
 - ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებასა და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენება ზემონიტორინგი;
 - გ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასება;
 - დ) შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

თავი IV

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 5. შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებანი

შიდა აუდიტის სამსახური უფლებამოსილია:

- ა) მუნიციპალიტეტში განხორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება (შიდა აუდიტორული შემოწმება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: აუდიტის დაგეგმვა, აუდიტის განხორციელება, ანგარიშგება, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი) აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი;
- ბ) შიდა აუდიტის ან კომპეტენციის ფარგლებში სხვა ქმედებების განხორციელებისას შეუზღუდავად მოითხოვოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), გამოიძახოს სისტემის ნებისმიერი თანამშრომელი შესაბამისი ინფორმაციისა და განმარტების მიღების მიზნით. აგრეთვე მოითხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

მუხლი 6. შიდა აუდიტის სამსახურის მოვალეობანი

შიდა აუდიტის სამსახური ვალდებულია:

- ა) დაიცვას წინამდებარე დებულება, შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტი სმარტგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;
- ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ, დადგენილი წესით ან/და მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს ანგარიში და სხვა სახის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გამგებელს;
- გ) შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა;
- დ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;
- ე) ითანამშრომლოს შიდა აუდიტორებთან თავიანთი საქმიანობის განხორციელების დროს და უზრუნველყონ მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის თაობაზე არსებული მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ან/და ქმედებების განხორციელება;
- ვ) გამგებლის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯაროში და აუდიტორული ან სამსახურებრივი შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი V

შიდა აუდიტის სამსახურის მართვა და საქმიანობის ორგანიზება და ანგარიშგება

მუხლი 7. შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი

1. შიდა აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი.
2. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.
3. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.
4. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, შიდააუდიტისგანხორციელების სიხშირე და შიდააუდიტორთა რაოდენობა;
 - ბ) შეიმუშავეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;
 - გ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
 - დ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე და უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასებას;
 - ე) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
 - ვ) წარმოადგენს სამსახურს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

- ზ) ზედამხედველობს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას და აგრეთვე, ახორციელებს მათ მიერ შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
- თ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს შემოსულ კორესპონდენციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
- ი) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს, ასევე სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დაწესებულებების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტებს და სხვა დოკუმენტებს;
- კ) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას;
- ლ) კოორდინაციას უწევს სამსახურის საქმიანობას და ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს შორის;
- მ) შეიმუშავებს და გამგებელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;
- ნ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;
- ო) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის სცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს;
- პ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
- ჟ) გამგებელის დავალებით გამგეობის საჯარო მოსამსახურეების სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში ახორციელებს სამსახურებრივ მოკვლევას და მასვე წარუდგენს დასკვნას მოხელის მიმართ დისცილინური სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე;
- რ) შუამდგომლობს საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- ს) პასუხისმგებელია სამსახურში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე;
- ტ) ასრულებს და ახორციელებს გამგებლის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 8. შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშგება

1. სამსახური შეიმუშავებს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტებს და უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ობიექტს, იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება და არგუმენტირებული პასუხი ანგარიშში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აისახება საბოლოო ანგარიშში.
2. საბოლოო შიდა აუდიტორული ანგარიში და გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარედგინება გამგებელს.
3. შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნა გამგებელთან შეთანხმებით.
4. სამსახურის უფროსმა სულ მცირე წელიწადში 2-ჯერ უნდა აცნობოს გამგებელს დამტკიცებული შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
5. შიდა აუდიტის სამსახური ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება გამგებელს და ჰარმონიზაციის ცენტრს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე.

თავი VI

ინტერესთა კონფლიქტი

მუხლი 9. მონაწილეობის შეზღუდვა შიდა აუდიტორულ შემოწმებაში

1. შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

- ა) შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში;
- ბ) შიდა აუდიტორის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკავიათ ან შესამოწმებელ პერიოდში ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები შიდა აუდიტის ობიექტში;
- გ) ინტერესთა კონფლიქტის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი VII

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ქონება და დაფინანსების წყაროები

მუხლი 10. სამსახურის ქონება

- 1. შიდა აუდიტის სამსახურის მთელი ქონება წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.
- 2. შიდა აუდიტის სამსახურის საბიუჯეტო დაწესებულებაა, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები.

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2. შიდა აუდიტის სამსახური სრეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველია საკრებულოს დადგენილება.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის № 60
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №60 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/12/2014, სარეგისტრაციო კოდი:190040000.35.104.016206) შეტანილიქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:  თემურ ღვინჯილია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა
მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნება
1	გამგებელი	1
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
3	გამგებლის მოადგილე	2
ადმინისტრაციული სამსახური		
4	სამსახურის უფროსი	1
	იურიდიული განყოფილება	
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	წამყვანი სპეციალისტი	1
8	სპეციალისტი	1
საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილება		
9	განყოფილების უფროსი	1
10	მთავარი სპეციალისტი	6
11	წამყვანი სპეციალისტი	17
12	სპეციალისტი	11
13	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	14
14	გამგებლის თანაშემწე	1
ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური		
15	სამსახურის უფროსი	1
ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისა დმინისტრირების განყოფილება		
16	განყოფილების უფროსი	1
17	მთავარი სპეციალისტი	1
ეკონომიკური განვითარების დაგეგმარების ქონების მართვისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილება		
18	განყოფილების უფროსი	1

გამგეობის ზედამხედველობის სამსახური		
20	სამსახურის უფროსი	1
	ზედამხედველობის განყოფილება	
21	განყოფილების უფროსი	1
22	მთავარი სპეციალისტი	2
23	წამყვანი სპეციალისტი	1
გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური		
24	სამსახურის უფროსი	1
ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება		
25	განყოფილების უფროსი	1
26	მთავარი სპეციალისტი	3
კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი მომსახურების განყოფილება		
27	განყოფილების უფროსი	1
28	მთავარი სპეციალისტი	1
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
29	სამსახურის უფროსი	1
საფინანსო ზედამხედველობის და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება		
30	განყოფილების უფროსი	1
31	მთავარი სპეციალისტი	2
საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება		
32	განყოფილების უფროსი	1
33	მთავარი სპეციალისტი	1
შესყიდვების განყოფილება		
34	განყოფილების უფროსი	1
35	მთავარი სპეციალისტი	2
სახაზინო მომსახურებისა და შემოსავლების ანალიზის განყოფილება		
36	განყოფილების უფროსი	1
37	მთავარი სპეციალისტი	1
შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური		
38	სამსახურის უფროსი	1

39	განყოფილების უფროსი	1
40	მთავარი სპეციალისტი	2
41	წამყვანი სპეციალისტი	1
	დევენილთა და იმპულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება	
42	განყოფილების უფროსი	1
43	მთავარი სპეციალისტი	1
44	წამყვანი სპეციალისტი	1
45	სპეციალისტი	1
კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
46	სამსახურის უფროსი	1
	კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება	
47	განყოფილების უფროსი	1
48	წამყვანი სპეციალისტი	1
49	სპეციალისტი	1
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება		
50	განყოფილების უფროსი	1
51	მთავარი სპეციალისტი	1
52	წამყვანი სპეციალისტი	1
განათლების განყოფილება		
53	განყოფილების უფროსი	1
54	წამყვანი სპეციალისტი	1
შიდა აუდიტის სამსახური		
55	სამსახურის უფროსი	1
შედა აუდიტის განყოფილება		
56	განყოფილების უფროსი	1
57	მთავარი სპეციალისტი	1
58	სპეციალისტი	1
შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილება		
59	განყოფილების უფროსი	1
60	მთავარი სპეციალისტი	1

უფლებამოსილებით		
61	სამსახურის უფროსი	1
62	მთავარი სპეციალისტი	2
63	წამყვანი სპეციალისტი	4
სულ		119



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/08/2014, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.104.016161 შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გამგებლის წარმომადგენელი:

ა) აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

გ) მოქალაქეებზე გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა სახის ცნობებს;

დ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

ე) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა სახის მონაცემებისა და გამგებლის დავალებით მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვებას, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;

ვ) ვალდებულია პერიოდულად დადგენილი ფორმით გამგებელს წარუდგინოს ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ, იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, ჩასახლებული დევნილების რაოდენობის შესახებ, მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისაგან დამცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ზ) მონაწილეობს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიების შესახებ, ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს, ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადების სისტემატიზაციას;

თ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას. საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს სამუშაო ჯგუფის (ჯგუფების) შექმნის თაობაზე;

ი) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს;

კ) გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელშეწყობის მიზნით მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-სასწავლო შეკრების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

ლ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახელებების ქუჩების, მოედნების სახელებებისა და ნუმერაციის შესახებ;

მ) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ნ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს გამგებლის დავალებით.

4. გამგებლის წარმომადგენელზე გამგებლის დავალება გაიცემა და დავალების შესრულებაზე ინფორმაცია მიიღება უშუალოდ გამგებლის, ან ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით.“.

ბ) დებულების მე-14 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი:

„5. გამგებლის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე. მას აქვს ბეჭედი და ბლანკი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდების მითითებით.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:



თემურ ღვინჯილია



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikh, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;

E-mail. admin@tsalenjikh-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikh-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 თებერვალი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N9

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის დაყოფაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 12 თებერვლის N174 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქუჩაზე (ყოფილი ინტერნატის ეზო) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6 652,939 კვ.მ მიწის ნაკვეთის ორ ნაწილად დაყოფა:

ა) ნაკვეთი N1 – 4 333,132 მ²

ბ) ნაკვეთი N2 - 2 319,807 მ²

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:



თემურ ღვინჯილია



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikh, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikh-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikh-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 თებერვალი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N10

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63 -ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილიქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

ა.ა) ანზორ ფიფია-კომისიის თავმჯდომარე;

ა.ბ) ლევან ფიფია-კომისიის წევრი;

ა.გ) ივერ კვარაცხელია-კომისიის წევრი;

ა.დ) ბესიკ ფარცვანია-კომისიის წევრი;

ა.ე) ავთანდილ გაბელია-კომისიის წევრი;

ა.ვ) მალხაზ ფიფია-კომისიის წევრი;

ა.ზ) კახაბერ ციმინტია-კომისიის წევრი;

ა.თ) ბორის კვარაცხელია-კომისიის წევრი;

ა.ო) ლევან შელია-კომისიის წევრი;“

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გ. ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

თემურ ღვინჯილია

